საბჭოთა მოციგურავეების ტრიუმფი

ЧЕМПИОНАТ ЕВРОПЫ 1971 ЛЕНИНГРАД

საპატიო კვარცხლბეკზე:
ნ. სტატკევიჩი, ლ. ტიტოვა, კ. სერიოგინა

ლენინგრადი, 31 იანვარი. დღეს ვ. ი. ლენინის სახელობის ადგილობრივ სტადიონზე სტარტი აიღო ევროპის II ჩემპიონატმა ციგურებით სწრაფრბენაში ქალთა შორის. შეჯიბრება ცუდი ამინდის გამო ერთი დღის დაგვიანებით დაიწყო, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა — თერმომეტრი მინუს 5 გრადუსს უჩვენებს.

სტადიონის მუშაკებმა მთელი ღამე გაათენეს და ასპარეზობის დაწყებისთვის ჩინებული სარბიელი მოაწყვეს: სარბენ ბილიკზე ყინული სწორი და სარკესავით გლუვი იყო, რისთვისაც გამოხდილი წყალი გამოიყენეს.

როგორც მუდამ, ჩემპიონატი სპრინტით გაიხსნა: გაიმართა რბენა 500 მეტრზე. სტარტზე გამოვიდა 11 ქვეყნის 28 მოციგურავე (შარშან ფინლანდიის ქალაქ ჰერენვენში გამართული ევროპული ჩემპიონატის სტარტი 8 სახელმწიფოს 25 წარმომადგენელმა აიღო).

საუკეთესო შედეგს მიაღწია ამ დისტანციაზე ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლ. ტიტოვამ (სსრ კავშირი) — 45,54 წამი. II ადგილი დაიკავა რ. შლიაერმახერმა (გდრ) — 45,65, ხოლო III — ვ. სუროვიკინამ (სსრ კავშირი) — 45,81.

ორი დისტანციის შემდეგ ლიდერობს ლენინგრადელი ნ. სტატკევიჩი. როგორც ჩანს, მას განზრახული აქვს კვლავ დაისაკუთროს კონტინენტზე უძლიერესი მოციგურავის სახელი. სტატკევიჩმა კარგად გაირბინა 500 მ — 46,23 (მეოთხე შედეგი) და 1500 მეტრზე რბენის ფინიშთან საუკეთესო დროით მივიდა — 2.25,5. ჯამში — 94.730 ქულა.

1500 მეტრზე კენჭისყრამ ლ. ტიტოვა მსოფლიო ჩემპიონ ა. კეილენ-დეელსტრას შეახვედრა. ტიტოვამ 2,5 წამი წააგო (მოსკოველის შედეგია 2.29,8).

ორ დისტანციაზე ასპარეზობის შემდეგ ტიტოვა II ადგილზეა — 95,473, ხოლო სახელგანთქმული ჰოლანდიელი კეილენ-დეელსტრა მეოთხეა — 95,660 (46,56; 2.27,3).

III ადგილზეა მოსკოველი ვ. სუროვიკინა— 95,510 (45,81; 2.29,1).

კეილენ-დეელსტრა ერთადერთია უცხოელი სპორტსმენებიდან, რომელმაც დღეს სერიოზული მეტოქეობა გაუწია შეჯიბრების მასპინძლებს. მსოფლიო რეკორდსმენი მრავალჭიდში, ჰოლანდიელი ს. კაიზერი კანალამ დაეცა პირველ დისტანციაზე — 48,67. ამ შედეგმა ერთბაშად დააქვეითა მისი შანსები საპრიზო ადგილზე გასვლაში. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა 1500 მეტრზე 2.26,8 აჩვენა, მაგრამ ამანაც ვერ გამოასწორა მისი საქმე.

კიდევ ერთმა ძლიერმა მეტოქემ, აგრეთვე ჰოლანდიელმა ა. სხუტმა 500 მეტრზე 48,15 აჩვენა, 1500 მეტრზე — 2.29,3, მაგრამ ლიდერებს ვერც ის მიუახლოვდა.

ლენინგრადი, 1 თებერვალი. დღეს ცოტა დათბა და ამიტომ შეჯიბრების დამთავრება საღამოს მაგიერ დილისთვის გადაიტანეს.

1000-მეტრიანი დისტანციის უკვე პირველივე გარბენში ლ. ტიტოვამ 1.36,1 აჩვენა, რამაც მას ოქროს მეორე მედალი მოუტანა. II ადგილზეა ნ. სტატკევიჩი — 1.37,0, III — ტ. ავერინა — 1.37,6, IV — რ. შლიაერმახერი — 1.38,0.

სამი დისტანციის შემდეგ ლიდერთა ჯგუფში ასეთი მდგომარეობაა: I. სტატკევიჩი — 143,230, II. ტიტოვა — 143;523, III. ავერინა — 145,253, IV-V. სუროვიკინა, ლ. ბერგი (ნორვეგია) — თითოეულს — 145,260, VI. კეილენ-დეელსტრა — 146,110, VII. კ. სერიოგინა (სსრ კავშირის რეკორდსმენი 3000 მეტრზე)—146,590.

3000 მეტრზე ასპარეზობაში I ადგილზე გავიდა კ. სერიოგინა—5.20,5. მეორე იყო ნ. სტატკევიჩი — 5.23,2, მესამე — ს. კაიზერი — 5.23,3.

მრავალჭიდში გაიმარჯვა ნ. სტატკევიჩმა, რომელმაც მეორედ დაისაკუთრა ევროპის აბსოლუტური ჩემპიონის სახელი — 197,097 ქულა. II ადგილზეა ლ. ტიტოვა — 199,840, III — კ. სერიოგინა — 200,007.

IV ადგილზეა კეილენ-დეელსტრა — 200,460.

ახლა მოციგურავე ქალებს ელით მსოფლიო ჩემპიონატი, რომელიც 6-7 თებერვალს ჩატარდება ჰელსინკში.

• • •

სურათებზე: ნ. სტატკევიჩი (მარჯვნივ) და ლ. ტიტოვა; მარჯვნივ — კ. სერიოგინა ასპარეზობის დროს.

ვ. გალაქტიონოვის, ვ. შანდრინისა და კ. მუსტაფინის ფოტოსურათები.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 22 (4272)

1971 წ.
2 თებერვალი.
სამშაბათი.
ფასი 2 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

მეორე გამარჯვება კიევში

სსრ კავშირის ჩემპიონატი

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის რამდენიმე მატჩი.

კიევი. თბილისის „დინამომ" უკრაინის დედაქალაქში ორი შეხვედრა ჩაატარა და ორივეში წარმატება იზეიმა. არმიელების წინააღმდეგ ისინი აგრესიულად იყვნენ განწყობილი და მთელი 40 წუთი შეტევაში გაატარეს. „სტროიტელთან" დინამოელები, ცხადია, უფრო ფრთხილობდნენ. ამან დასაწყისში უპირატესობის სასწორი მასპინძლების მხარეს გადახარა. როცა ანგარიშში სხვაობამ 16 ქულას მიაღწია, „სტროიტელს" თავი ქუდში ეგონა, დინამოელები კი სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. თავდაპირველად მათ მიზნად დაისახეს ანგარიშის გათანაბრება და საამისოდ ნაცად ხერხს — სწრაფ შეტევას მიმართეს. ფინიშამდე 4 წუთით ადრე მოედანზე წონასწორობა აღდგა. ნოკაუტირებული მასპინძლები გონს მხოლოდ მაშინ მოვიდნენ, როცა ბრძოლის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო. „დინამომ" დიდოსტატურად ჩაატარა მატჩის ენდშპილი და გამარჯვებასაც მიაღწია — 69:66.

ლენინგრადი. ჩემპიონატის ლიდერმა — ადგილობრივმა „სპარტაკმა" თბილისის „ბურევესტნიკს" უმასპინძლა. ნევისპირელთა უპირატესობა აშკარა იყო: ლიდერმა გაიმარჯვა — 78:62.

კაუნასი. დამაჯერებლად მიიწევს წინ ადგილობრივი „ჟალგირისი": ლიტველებმა შინ უკვე მეოთხე მატჩი მოიგეს. ამჯერად მათ უმაღლესი ლიგის დებიუტანტი — მინსკის რტი დაამარცხეს — 97:85.

რიგა. სსრ კავშირის ჩემპიონი ცსკა ორ ფრონტზე იბრძვის. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასზე შეჯიბრებაში მორიგი გამარჯვების შემდეგ იგი ლატვიის დედაქალაქს ეწვია და კალენდარული შეხვედრა ჩაატარა ადგილობრივ ვეფ-თან. არმიელებმა ეს მატჩიც დიდი უპირატესობით მოიგეს — 89:67.

ერთი დღით ადრე კი აქვე გაიმართა ადგილობრივი არმიელებისა და ტარტუს „კალევის" შეხვედრა. სრულიად მოულოდნელად გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 81:77.



10 ყველაზე პოპულარული...

საქართველოს ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქცია საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და რესპუბლიკის კომპარტიის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით აწყობს სპორტის მოყვარულთა კონკურს-გამოკითხვას, რომლის მიზანია გამოავლინოს **რესპუბლიკის 10 ყველაზე პოპულარული სპორტსმენი 1921 წლის 25 თებერვლიდან დღემდე.**

კონკურსის შედეგების შეჯამების შემდეგ ამ პოპულარულ სპორტსმენებზე მოეწყობა სპეციალური გადაცემა. სპორტსმენები დაჯილდოვდებიან ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციის პრიზებით.

კონკურსზე მასალების გამოგზავნის უკანასკნელი ვადაა 1 აპრილი (საფოსტო შტემპელის მიხედვით). კონკურსში მონაწილემ ბარათი უნდა გაგზავნოს მისამართით: თბილისი. ლენინის ქ. № 68. ტელევიზიის სპორტულ გადაცემათა რედაქციას, კონკურსისთვის.

გათამაშების ცხრილი
ძირითადი შემადგენლობანი
მდგომარეობა 2 თებერვლისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
„სპარტაკი" (ლენინგრადი)	14	13	1	967—830	13
„ჟალგირისი" (კაუნასი)	15	11	4	1220—1146	11
ცსკა	13	10	3	1016—904	10
„დინამო" (მოსკოვი)	12	7	5	924—870	7
„სტროიტელი" (კიევი)	13	7	6	916—892	7
„დინამო" (თბილისი)	13	7	6	970—1010	7
„კალევი" (ტარტუ)	14	6	8	1096—1078	6
„ბურევესტნიკი" (თბილისი)	12	5	7	853—906	5
ასკ (კიევი)	14	4	10	934—1001	4
ვეფ (რიგა)	14	4	10	1039—1135	4
ასკ (რიგა)	14	4	10	959—1025	4
რტი (მინსკი)	14	3	11	914—1011	3

გორში

უკვე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა რუსულ შაშში. ტურნირში, რომელიც შვეიცარიული სისტემით ტარდება (10 ტური), მონაწილეობს 40 ოსტატი და ოსტატობის კანდიდატი. მოყვარულთა საერთო ყურადღებას იპყრობს შეჯიბრებაში საქართველოს მოშაშეების — ოსტატების თ. ბარამიძისა და სსრ კავშირის პროფკავშირთა თასის 1970 წლის გათამაშების მონაწილე ი. სპესივცევის თამაში.

4 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ: კიეველი მოსწავლეები მ. რახუნოვი, სპორტსაზოგადოების შარშანდელი ჩემპიონი, ოსტატობის კანდიდატი ვ. ზარბაშოვი, აგრეთვე, ოსტატი ჟ. ფილიპოვი, ოსტატობის კანდიდატები ვ. მარკაჩიოვი (ორივე — კემეროვო), ნ. მაგომედოვი (მახაჩყალა), ი. შიროკოვი (გორკი) — 3-3 ქულა. სპესივცევს 2-დან 2 ქულა აქვს.

პ. სმირნოვი,
ოსტატობის კანდიდატი.

ტელეტაიპი

ოსლო, 31 იანვარი. ციგურებით სწრაფრბენაში მსოფლიო ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ა. სხენკმა ნორვეგიის დედაქალაქის „ბიშლეტის" სტადიონზე ახალი მსოფლიო რეკორდი დაამყარა მრავალჭიდის ჯამში — 171,317 ქულა (500 მ — 40,29, 1500 მ — 2.02,3, 5000 მ — 7.25,9, 10000 მ — 15.13,4). იგი საუკეთესო იყო სამ დისტანციაზე და III ადგილი დაიკავა 500 მეტრზე რბენაში.

ძველი მსოფლიო რეკორდი სხენკის თანამემამულე ი. ბოლსს ეკუთვნოდა და 171,512 ქულას უდრიდა (500 მ—40,51, 1500 მ — 2.04,5, 5000 მ — 7.19,8, 10000 მ — 15.11,1). ეს რეკორდი ბოლსმა შარშან დაამყარა.

სხენკმა თავის ახალ რეკორდს ჰოლანდიის, ნორვეგიის, შვეციის, სსრ კავშირისა და ფინეთის მოციგურავეთა ასპარეზობისას მიაღწია. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ჰოლანდიელებმა — 240,5 ქულა. II ადგილზე არიან ნორვეგიელები (236 ქულა), III — შვედები (169). საბჭოთა მოციგურავეებმა მხოლოდ IV ადგილი დაიკავეს (107 ქულა).

ჩვენი საქმიანობის ქვაკუთხედი — სპარტაკიადებისთვის მზადება

СПАРТАКИАДА
V НАРОДОВ
СССР

5. სპორტული წვრთნის პერიოდების თავისებურებანი

V სპარტაკიადა
1971

ოსტატობის სრულყოფისთვის

წვრთნის პერიოდიზაცია სპორტსმენის მომზადების პრაქტიკულ ნაწილს ეხება. ამ წერილში ადრე აღნიშნულ კანონზომიერებათა გათვალისწინებით განვიხილავთ სპორტული ფორმის განვითარების მართვის სპეციფიკურობას წვრთნის სხვადასხვა პერიოდში.

მოსამზადებელი პერიოდი. ეს პერიოდი წლიურ ციკლში გრძელდება 6 თვემდე, ნახევარწლიურში — 4 თვემდე. პერიოდს აქვს ორი ძირითადი ეტაპი: საერთო მოსამზადებელი (წლიურ ციკლში — 4 თვემდე, ნახევარწლიურში — 2-2,5 თვემდე) და სპეციალურ-მოსამზადებელი (შესაბამისად 2 და 1,5 თვემდე).

საერთო მოსამზადებელი ეტაპის დანიშნულებაა შექმნას წინაპირობა სპორტული ფორმის შეძენისთვის. წინაპირობის შექმნა ნიშნავს კერძო ამოცანების გადაწყვეტას. ეს ამოცანებია: ა) მრავალგვარი ფიზიკური ვარჯიშის საშუალებით სპორტსმენის ფიზიკურ თვისებათა (სისწრაფე, ძალა, სიმარჯვე) განვითარების დონის საერთო ამაღლება; ბ) სპორტსმენის თეორიული საფუძვლის განმტკიცება სპორტული ტექნიკისა და ტაქტიკის საკითხებში; გ) სპორტული ჩვევებისა და უნარიანობის გამდიდრება-სრულყოფა, ახალი ელემენტების ათვისება.

მორალურ-ნებელობით მომზადებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მოსამზადებელი სამუშაოს დიდი მოცულობის დასაძლევად განწყობის ჩამოყალიბებას, სპორტული შრომისმოყვარეობის გამომუშავებას, ნებელობითი შესაძლებლობების საერთო დონის ამაღლებას.

ამ ეტაპის განმსაზღვრელ მხარეს საერთო ფიზიკური მომზადება წარმოადგენს. აქ გამოიყენება ყოველმხრივი ფიზიკური მომზადების საშუალებები, ისეთი ფიზიკური ვარჯიშები, რომლებიც ხელს უწყობენ ძალის, სისწრაფის, გამძლეობის, მოქნილობისა და სიმარჯვის განვითარებას, მოძრაობითი ჩვევებისა და უნარის გამდიდრებას და სპორტის არჩეულ სახეობაში დასტატებას. მოსამზადებელი პერიოდის პირველ ეტაპზე, სხვა ეტაპებთან შედარებით, საერთო ფიზიკურ მომზადებას ყველაზე მეტი დრო ეთმობა.

საერთო ფიზიკური განვითარების მიზნით ზოგჯერ პროგრამაში ჩაირთვება სპორტის დამატებითი სახეობა, სადაც სრულყოფა ძირითადი სახეობისთვის გამოყოფილი დროის ისეთ ნაწილს უნდა შეიცავდეს, რომელიც ხელს შეუწყობს ძირითად სახეობაში დასტატებას. ამასთან, პირველ ეტაპზე საჭიროა სპეციალური ფიზიკური მომზადება, რომელიც მიზნად ისახავს ტექნიკის ასათვისებლად სპეციფიკური წინაპირობების უზრუნველყოფას.

სპეციალური ფიზიკური და ამავე დროს ტექნიკური მომზადების ძირითად საშუალებებს წარმოადგენს: ა) ვარჯიშები სპორტის არჩეული სახეობის მოქმედებათა ელემენტებით; ბ) სპორტის არჩეული სახეობის რომელიმე თავისებურებით მსგავსი ვარჯიშები; გ) ვარჯიშები სპორტის არჩეული სახეობიდან მოქმედებათა სტრუქტურის ცვალებადობით.

ამ ეტაპის სახელწოდება საერთო ფიზიკური მომზადების წამყვან მნიშვნელობაზე მიგვითითებს, მაგრამ სპეციალური ფიზიკური მომზადება ისევე აუცილებელია, როგორც საერთო, მიუხედავად მისი დაქვემდებარებისა.

მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა სპორტულ-ტექნიკურ მომზადებას, რაც უზრუნველყოფს ახალი მასალის ათვისებას, ტექნიკის ცალკეული დეტალებისა და ელემენტების სრულყოფას ან გაუმჯობესებას.

ტაქტიკური მომზადება განისაზღვრება ძირითადად თეორიული მონაცემებით სპეციალური ცოდნით უზრუნველყოფის ფარგლებში.

დატვირთვის დინამიკის საერთო ტენდენცია ხასიათდება მოცულობისა და ინტენსივობის თანდათანობითი, უპირატესად მოცულობის ზრდით. სწორედ აქ სრულდება სპორტული ფორმის საფუძვლის შექმნისთვის ძირითადი მოსამზადებელი მუშაობა. საერთო მოსამზადებელი ვარჯიშების მოცულობა ამ ეტაპზე მაქსიმუმს აღწევს, ინტენსივობა კი შედარებით ნელი ტემპით იზრდება. ამ ეტაპზე მცირე საწვრთნელი ციკლები (კვირეული) მრავალფეროვანი მოძრაობითი ჩვევების დაუფლებისა და ფიზიკურ თვისებათა საერთო განვითარების დონის ამაღლების საფუძველზე უნდა აიგოს. ამიტომ მეცადინეობას არა აქვს მკაფიოდ გამოხატული სპეციფიკური მიმართულება. იგი მიმართულია ისეთი ამოცანების გადასაწყვეტად, როგორიცაა სპორტულ-ტექნიკური მომზადება და საერთო ფიზიკური განვითარება. ამ ეტაპზე მეცადინეობათა და დასვენების დღეების რაოდენობა დამოკიდებულია სპორტსმენის მომზადების დონეზე, ინდივიდუალურ თავისებურებებზე, დროის მარაგზე, სპორტულ კალენდარზე და სხვა პირობებზე.

საწვრთნელი დღე, ჩვეულებრივ, კვირაში 5-6, სულ ცოტა, 3 მაინც უნდა იყოს. ამ ეტაპის დამთავრებისას უნდა მოხდეს საკონტროლო ნორმატივების ჩაბარება, სადაც ასახული იქნება როგორც საერთო, ისე სპეციალური ფიზიკური მომზადების დამახასიათებელი მხარეები.

სპეციალურ-მოსამზადებელი ეტაპი. მოსამზადებელი პერიოდის მეორე ეტაპზე წვრთნის სტრუქტურა და შინაარსი იცვლება ისე, რომ შეიქმნას პირობები სპორტულ ფორმაში უშუალოდ შესვლისთვის. მზადება ღებულობს უფრო აშკარად გამოსახულ სპეციალურ მიმართულებას ყველა ნაწილში (დასახელებაც აქედან გამომდინარეობს: სპეციალურ-მოსამზადებელი).

ა) ფიზიკური მომზადებისას ძლიერდება იმ ფიზიკურ შესაძლებლობათა განვითარება, რომლებიც სპორტის არჩეულ სახეობათა სპეციფიკურობას უპასუხებენ, ესე იგი, გამოიყენება სპეციალური ფიზიკური მომზადების საშუალებები;

ბ) სპორტულ-ტექნიკური მომზადება ექვემდებარება საშეჯიბრებო მოქმედების ტექნიკის დაუფლებას. ამ დროს ცენტრალური ამოცანაა მტკიცე და, ამასთან, მოქნილი მოძრაობითი დინამიკური სტერეოტიპის ჩამოყალიბება. პარალელურად ვითარდება სპეციალური ტაქტიკური მომზადებაც;

გ) იზრდება სპეციალური ნებელობითი მომზადების მნიშვნელობა არჩეულ სახეობაში შეჯიბრებისთვის.

ყველაფერი ეს ქმნის სპეციალური გაწვრთნილობის ზრდის პირობებს. გადასვლა პირველიდან მეორე ეტაპზე თანდათანობით ხდება. ამასთანავე, იცვლება არა იმდენად საწვრთნელი პროცესის შინაარსი, რამდენადაც მისი სტრუქტურა — სხვადასხვა საშუალების, მეთოდის შეფარდება, საერთო და სპეციალური მომზადების ხვედრითი წონა, დატვირთვის მოცულობისა და ინტენსივობის შეფარდება და ა. შ. ფართოდ მოიხმარება არჩეული საშეჯიბრებო და მათთან ახლოს მყოფი სპეციალურ-მოსამზადებელი ვარჯიშები. მოსამზადებელი პერიოდის დამთავრებისას ისინი მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ და დიდ გავლენას ახდენენ წვრთნის სხვა საშუალებების გამოყენებაზე.

ასეთნაირი ცვლილებები ემჩნევა წვრთნის მეთოდებსაც. ამოირჩევა სპორტის შესაბამისი სახეობებისთვის სპეციფიკური წვრთნის მეთოდები. უფრო დიდი ადგილი ეთმობა მეთოდებს, რომლებიც გაზრდილ მოთხოვნებს უყენებენ ფუნქციურ შესაძლებლობებს. იზრდება საშეჯიბრებო მეთოდის მნიშვნელობაც.

საერთო მომზადების საშუალებები ამ ეტაპზე ნაკლებად მრავალფეროვანია. ზოგი მათგანისთვის საჭიროა სპეციალიზება, რაც გამოიხატება შესასრულებელი მოძრაობების სისწრაფის, ძალისა და სხვა ჩვევათა ცვლილებაში, დატვირთვის დოზირებასთან და ვარჯიშის პროცესში დასვენებასთან ერთად.

საერთო მომზადების ხვედრითი წონა საერთოდ კლებულობს, სპეციალური მომზადებისა კი მატულობს.

დატვირთვის დინამიკის თავისებურებანი გამოიხატება მოცულობის საერთო ჯამის შემცირებაში ინტენსივობის ზრდასთან ერთად. ინტენსივობა იზრდება უმთავრესად სპეციალურ მომზადებაში. წვრთნის სპეციალურ-მოსამზადებელ ეტაპს შეიძლება წინასაშეჯიბრებო ეწოდოს, რადგან იგი უშუალოდ საშეჯიბრებო პერიოდს უსწრებს წინ.

მოსამზადებელი პერიოდის ფუნქციების შესრულება გამოირკვევა შედარებით უფრო მაღალი სპორტული შედეგებით, ვიდრე წვრთნის ადრინდელ ციკლში იყო. ამ პერიოდის ამოცანათა გადაწყვეტა შეკვეცილ ვადებში მომზადების ყველა მხარის შეფერხებას იწვევს. სპორტულ შედეგებზე ეს გარემოება თავდაპირველად არ იმოქმედებს, შემდგომში კი მათ საგრძნობლად დააქვეითებს.

საშეჯიბრებო პერიოდი. ამ პერიოდისთვის დამახასიათებელია მარტივი და რთული სტრუქტურა. პირველ შემთხვევაში იგი აიგება ერთგვარი მიკროციკლებით (საშეჯიბრებო და განმტვირთავი), მეორე შემთხვევაში კი შედგება ორი (ან უფრო მეტი) საკუთრივ საშეჯიბრებო ეტაპისგან, რომელთაც ყოფს განსაკუთრებული შუალედური ეტაპი 4-6 კვირის ხანგრძლივობით.

ამა თუ იმ სტრუქტურის გამოყენება დამოკიდებულია სპორტის სახეობის თავისებურებაზე, შეჯიბრების კალენდარზე და სხვ. სხვა თანაბარ პირობებთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პერიოდის ხანგრძლივობას. მარტივი სტრუქტურა შედარებით მცირე (2-3 თვე), რთული კი უფრო დიდ (4-5 თვე) პერიოდს მოიცავს.

სპორტული ფორმის შეძენის შემდეგ დგება პასუხსაგებ შეჯიბრებათა ვადებში მისი შენარჩუნების ამოცანა. სპორტული ფორმა ეს არა მარტო მდგომარეობაა, არამედ პროცესიცაა — ყველა იმ თვისების, ჩვევის, უნარის სრულყოფის უწყვეტი პროცესი, რომლებიც სპორტული მიღწევისთვის მზადყოფნას განსაზღვრავენ. სპორტული ფორმის შენარჩუნების პერიოდში მისი ცალკეული კომპონენტები შეიძლება საკმაო ცვლილებას განიცდიდნენ, მაგრამ საფუძვლიანი გარდაქმნები შეუძლებელია, რადგან ისინი სპორტული ფორმის დაკარგვამდე მიგვიყვანდნენ და ამით შეუძლებელს გახდიდნენ შეჯიბრებაში წარმატებით გამოსვლას.

ფიზიკური მომზადება ზღვრული დაძაბულობით ხასიათდება და მიმართულია სპეციალური გაწვრთნილობის მაქსიმალური ამაღლებისკენ საერთო ფიზიკური მომზადების დონის შენარჩუნებით.

სპორტულ-ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება სრულყოფის მაღალ დონემდე აიყვანება. იგი ითვალისწინებს ადრე შეძენილი ჩვევებისა და უნარის განმტკიცებას, სპორტული ბრძოლის სხვადასხვა პირობებში ვარიაციულობის ზრდას.

მორალურ-ნებელობითი მომზადებიდან განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება შეჯიბრებისთვის უშუალო ფსიქოლოგიურ განწყობას, ფიზიკური და სულიერი ძალების მობილიზებას.

ამ პერიოდში შემდგომი სრულყოფის მნიშვნელოვანი საშუალება და მეთოდია სპორტული შეჯიბრებების გამართვა. მათი რაოდენობა დამოკიდებულია სპორტის სახეობის თავისებურებაზე და სპორტსმენის კვალიფიკაციაზე. სწრაფძალისმიერ სახეობებში და სპორტულ თამაშებში მაღალი კვალიფიკაციის სპორტსმენებს შეუძლიათ მთელი საშეჯიბრებო პერიოდის მანძილზე ყოველ კვირაში გამოვიდნენ სარბიელზე. მრავალჭიდების სახეობებისთვის კი შეჯიბრების ასეთი რეჟიმი მიუღებელია, თუმცა ტურნირების რიცხვი აქაც საკმარისი უნდა იყოს სპორტსმენის ნებელობითი და ფიზიკური თვისებების აღსაზრდელად, მისი ოსტატობის ასამაღლებლად.

საერთო მომზადების ხვედრითი წონა საშეჯიბრებო პერიოდში არ უნდა იყოს ნაკლები, ვიდრე სპეციალურ-მოსამზადებელ ეტაპზე. პრაქტიკაში კი ხშირად სულ სხვა ხდება: საშეჯიბრებო პერიოდში საერთო მომზადების ხვედრითი წონა ან მკვეთრად კლებულობს, ან ეს მომზადება საერთოდ არ ტარდება. თანამედროვე მეცნიერული წარმოდგენა და პრაქტიკული გამოცდილება ასეთ მოქმედებას სამართლიანად განსაზღვრავენ, როგორც არარაციონალურს და მაღალი სპორტული მიღწევებისთვის მავნეს.

დატვირთვის დინამიკის თავისებურებანი მოწმობენ ადრე განხილული ტენდენციების ერთგვარ დაბოლოებას: დატვირთვის საერთო მოცულობა წვრთნაში ჯერ კლებულობს და შემდეგ სტაბილიზებული ხდება, სპეციფიკური დატვირთვის ინტენსივობა კი მატულობს მაქსიმუმამდე და ამ დონეზე იწყება სტაბილიზება.

დატვირთვის დინამიკის განსაკუთრებულობა შემდეგი გარემოებებითაც განისაზღვრება: ა) კვირეული დატვირთვის დინამიკის მთავარ პუნქტებს სპორტული შეჯიბრებები შეადგენენ; ბ) შეჯიბრებები ხასიათდებიან უფრო მწვავე ზემოქმედებით, ვიდრე ანალოგიური საწვრთნელი დატვირთვა. ისინი იწვევენ მნიშვნელოვან ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ ძვრებს ორგანიზმში და მოითხოვენ აღდგენითი პროცესების მეტ ხანგრძლივობას; გ) გაწვრთნილობის ზრდასთან ერთად იზრდება ზოგიერთი ფუნქციური სისტემის რეაქტიულობა, რაც სპორტსმენს საშუალებას აძლევს შეინარჩუნოს შეძენილი გაწვრთნილობის დონე განვითარებისთვის გამოყენებულთან შედარებით მცირე დატვირთვით.

გარდამავალი პერიოდი. ეს პერიოდი მეტად თავისებური რგოლია წვრთნის უწყვეტ სისტემაში. მეცადინეობის ძირითადი ხასიათია აქტიური დასვენება. ამავე დროს წვრთნა გრძელდება, მაგრამ მისი ფორმები და შინაარსი საგრძნობლად იცვლება. ეს პერიოდი არ იძლევა საშუალებას წვრთნის კუმულატური ეფექტის* გადაწვრთნაში გადასვლისთვის. იგი უზრუნველყოფს საკმაოდ ხანგრძლივ გადართვას ისეთ რეჟიმზე, რომელიც თავისუფალია ორგანიზმის ფუნქციური და ადაპტაციური შესაძლებლობების მზარდი მოთხოვნებისგან.

აქტიური დასვენების უზრუნველყოფის გარდა, ამ პერიოდში ხდება გაწვრთნილობის ისეთი დონის შენარჩუნება, რომელიც საშუალებას მისცემს სპორტსმენს წარმატებით დაიწყოს მომავალი საწვრთნელი ციკლი. გარდამავალი პერიოდი შეიძლება გამოყენებული იქნეს ტექნიკურ და ტაქტიკურ მოქმედებებში გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. მორალურ-ნებელობით მომზადებაში კი საჭიროა დადებითი ემოციური ფონის შექმნა აქტიური დასვენებისთვის და შემდგომი გეგმების დასახვისთვის, განვლილი საწვრთნელი ციკლის წარმატებებისა და წარუმატებლობის სწორი შეფასებით.

გარდამავალ პერიოდში საერთო ფიზიკური მომზადება ძირითად ადგილს იკავებს, როგორც აქტიური დასვენებისა და გაწვრთნილობის შენარჩუნების ფაქტორი. ფართოდ გამოიყენება ტურიზმი, მოძრავი თამაშები, სპორტულ-დამხმარე ტანვარჯიში, ვარჯიშები დამატებითი სახეობებიდან. შეიქმნება მეცადინეობის შინაარსის ამორჩევის დიდი შესაძლებლობა. აქტიური დასვენების პირობების შენარჩუნებით გარდამავალი პერიოდის დაწყებით გამოირიცხება საშეჯიბრებო ვარჯიშები (არჩეულ სახეობაში) და ყველაზე ხშირად მოხმარებული სპეციალურ-მოსამზადებელი საშუალებები. სპეციალური მომზადებიდან რჩება ის საშუალებები, რომლებიც ხასიათდებიან განსაზღვრული ზემოქმედებით (მოქნილობის, ცალკეული კუნთოვანი ჯგუფების ძალისმიერი თვისებების განვითარებისთვის), აგრეთვე, არჩეული სახეობის ძირითადი ვარჯიშები, ოღონდ მათი სისწრაფისმიერი და ძალისმიერი დახასიათებებისა და ჩატარების ადგილის შეცვლით (მაგალითად, მორბენლებისთვის — რბენა ზომიერი ინტენსივობით ადგილმდებარეობაზე, ასეთნაირივე ინტენსივობით ცურვა — მოცურავეებისთვის).

დატვირთვის დინამიკის განსაკუთრებულობა ამ პერიოდში განისაზღვრება აქტიური დასვენებისა და გაწვრთნილობის შენარჩუნების კანონზომიერებებით. როგორც პერიოდული პროცესის ყოველ ფაზას, გარდამავალ პერიოდს მკაფიოდ გამოხატული საზღვრები არა აქვს. ორგანიზმის ფუნქციური და ადაპტაციური შესაძლებლობების აღდგენის შემდეგ იგი მორიგი ციკლის მოსამზადებელ პერიოდად გარდაიქმნება.

გარდამავალი პერიოდი არ არის საჭირო, თუ სპორტსმენს არ ჰქონდა საკმარისად მაღალი დატვირთვა, თუ იგი იშვიათად ვარჯიშობდა და ნაკლებად მონაწილეობდა შეჯიბრებებში. ამ შემთხვევაში მიზანშეწონილია წვრთნა აიგოს გაორებული ციკლით, სადაც საშეჯიბრებო პერიოდს მოჰყვება მეორე მოსამზადებელი და მხოლოდ შემდეგ — გარდამავალი. წვრთნის ასეთი აგება გამართლებულია იმ ზოგიერთ შემთხვევებში, როცა ნახევარწლიური ციკლები გამოიყენება.

ლ. გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი.

---

* კუმულატური ეფექტი: საწვრთნელი დატვირთვები იძლევიან არა მარტო უშუალოს, არამედ კუმულატურ (მზარდ შეჯამებით) ეფექტს, რაც წარმოადგენს დატვირთვის ხანგრძლივი გამოყენების ზემოქმედების დაჯამებას. თუ არ იქნა შექმნილი განტვირთვის პირობები — გადაღლა, აქტიური დასვენება და ა. შ., დატვირთვამ შეიძლება მიიღოს ე. წ. სტრესორების მნიშვნელობა, რაც თავის მხრივ გადაწვრთნილობის მოვლენებს გამოიწვევს.

რაიონებიდან სტრიქონით

✦ თეთრი წყარო

აქ დამთავრდა მოჭადრაკეთა რაიონული პირველობა. ჩემპიონის სახელი მოიპოვა ასურეთის საშუალო სკოლის შრომის მასწავლებელმა შ. ბარბაქაძემ — 9 ქულა 11-დან. II ადგილზეა თეთრი წყაროს რუსული საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი ფ. ცანდუკოვი — 8. ამდენივე ქულა მოაგროვა ირაგის საშუალო სკოლის ფიზიკის მასწავლებელმა გ. პოლიხრონიდიმ, რომელსაც კოეფიციენტთა ცხრილით III ადგილი მიეკუთვნა.

თ. ხუციშვილი,
ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.

[illegible]

● **სოფია**, 30 იანვარი. ბულგარეთში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა დღეს აქ მესამე ამხანაგური მატჩი გამართა მასპინძლებთან. ამჯერად იგი შეხვდა ქვეყნის ჩემპიონსა და თასის მფლობელს — ადგილობრივ „ლევსკი-სპარტაკს“. შესვენებამდე ბრძოლა მასპინძელთა ერთგვარი უპირატესობით მიმდინარეობდა. უკვე მე-3 წუთზე ბულგარელთა სწრაფმა მარჯვენა გარემარბმა ვესელინოვმა ძელს მოახვედრა ბურთი. 23-ე წუთზე „ლევსკი-სპარტაკმა“ ანგარიში გახსნა: პანოვმა ძლიერი დარტყმით ახლოდან გაგზავნა ბურთი საბჭოთა ნაკრების კარში. მეორე ტაიმში მდგომარეობა გათანაბრდა და 61-ე წუთზე მუნტიანის მიწოდებით კოპეიკინმა საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:1. საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით გამოდიოდა: ბანიკოვი, ისტომინი, შესტერნიოვი, ლოვჩევი, კაპლიჩნი, კისელიოვი (ნოდია), მუნტიანი, კოპეიკინი, ფედოტოვი, შევჩენკო (ეშტრეკოვი), ევრიუჟიხინი. პირველი მატჩი საბჭოთა ნაკრებმა პაზარჯიკში გამართა ადგილობრივ „მარიცასთან“ (ველინგრადში და არა სოფიაში, როგორც ადრე ვიუწყებოდით საკდესის მოწოდებული ცნობის მიხედვით, გამართეს საბჭოთა ფეხბურთელებმა მეორე მატჩი ადგილობრივ „სლავიასთან“ — 3:1). გაიმარჯვეს სტუმრებმა — 5:1. ანგარიში მე-3 წუთზე გახსნა მუნტიანმა, რომელმაც მე-17 წუთზე მასპინძელთა კარში მეორე გოლი გაიტანა. 38-ე წუთზე ფედოტოვმა „მარიცას“ მესამედ დააწყებინა ცენტრიდან თამაში. 42-ე წუთზე ბულგარელმა ცვეტკოვმა ერთი საპასუხო ბურთი გაიტანა — 1:3. შესვენების შემდეგ „მარიცის“ მცველმა სებევმა საკუთარ კარში მოათავსა ბურთი, ხოლო 62-ე წუთზე ეშტრეკოვმა ანგარიში გაზარდა. ამ შეხვედრაში საბჭოთა ნაკრების ყველა მოთამაშემ მიიღო მონაწილეობა. პირველ ტაიმში შემადგენლობა ასეთი იყო: ბანიკოვი, ძოძუაშვილი, შესტერნიოვი, კაპლიჩნი, ლოვჩევი, კულჩიცკი, მუნტიანი, კოპეიკინი, ფედოტოვი, შევჩენკო, ევრიუჟიხინი. შესვენების შემდეგ გუნდის უფროსმა მწვრთნელმა ვ. ნიკოლაევმა 6 მოთამაშე შეცვალა — მინდორზე გამოვიდნენ ისტომინი, კისელიოვი, ნოდია, დოლგოვი, ეშტრეკოვი, დუდარენკო.

● **ბევერვიიკი**, 30 იანვარი. ჰოლანდიის ამ ქალაქში დამთავრდა საერთაშორისო საჭადრაკო „ხოგოვენ-ტურნირი“. I ადგილი დაიკავა ლენინგრადელმა დიდოსტატმა ვ. კორჩნოიმ, რომელმაც ბოლო, XV ტურში დაამარცხა რ. ჰიუბნერი (გფრ). კორჩნოიმ 10 ქულა დააგროვა. II-V ადგილებზე გავიდნენ დიდოსტატები ტ. პეტროსიანი (სსრ კავშირი), ფ. ოლაფსონი (ისლანდია), ს. გლიგორიჩი და ბ. ივკოვი (ორივე — იუგოსლავია), რომლებიც გამარჯვებულს ნახევარი ქულით ჩამორჩნენ. ბოლო ტურში ოლაფსონმა ვერაფრით ვერ დაძლია ჰოლანდიელი დიდოსტატის დონერის წინააღმდეგობა და 42-ე სვლაზე მეტოქენი დაზავდნენ. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა პეტროსიანმა მოუგო ვან დენ ბერგს (ჰოლანდია), გლიგორიჩმა — ასევე ჰოლანდიელ რეეს, ხოლო ივკოვმა — ანდერსონს (შვეცია). ჩეხოსლოვაკიელმა ჰორტმა წააგო პარტია ბრაზილიელ მეკინგთან. უნდა აღინიშნოს, რომ პეტროსიანმა მთელი ტურნირი დაუმარცხებლად ჩაატარა.

● **ზაკოპანე**, *30 იანვარი. მეგობრული არმიების აქ მიმდინარე ტრადიციულ III სპარტაკიადაში საბჭოთა სპორტსმენებმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვეს: ყველას აჯობეს სათხილამურო რბოლების ბოლო სახეობაში — 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში. საბჭოთა არმიელების დრო 2:27.22. ძალიან დაძაბულად წარიმართა ბრძოლა ბოლო კილომეტრებზე. ფინიშისკენ სწრაფად მიჰქროდა გამოცდილი ა. აკენტიევი, რომლის დაწევასაც ცდილობდა პოლონელი ვ. გონსენიცა. ამასობაში ამ უკანასკნელს გამოეპარა ჩეხოსლოვაკიის საუკეთესო მრბოლელის ი. ფაისტავრის მძლავრი ბიძგი და მხოლოდ ბოლო მომენტში იგრძნო ზურგს უკან მეტოქის სუნთქვა. გონსენიცამ ნაბიჯს უმატა და პოლონეთის გუნდს ვერცხლის ჯილდო მოუპოვა — 2:30.54,9. III ადგილი დაიკავა ჩეხოსლოვაკიის სახალხო არმიის ნაკრებმა — 2:31.04,7. ფაისტავრმა დღის საუკეთესო შედეგი აჩვენა — 36.34,9. მეორე დრო (36.39,2) აკენტიევს აქვს. ამრიგად, ამოიწურა სპარტაკიადის პროგრამის 8 სახეობა. ყველაზე კარგად გამოდიან პოლონეთისა და სსრ კავშირის არმიელი მოთხილამურეები, რომელთაც ოქროს 7-7 მედალი აქვთ. შეჯიბრების მასპინძლებს კიდევ ვერცხლის 7 და ბრინჯაოს 4 მედალი აქვთ მოხვეჭილი, ხოლო საბჭოთა სპორტსმენებს შესაბამისად — 5 და 2. III ადგილზე არიან გდრ-ის ეროვნული სახალხო არმიის წარმომადგენლები — ვერცხლის 1 და ბრინჯაოს 3 მედალი.*

● **ლიმა**, 30 იანვარი. პერუს საფეხბურთო ჩემპიონატში ყველას აჯობა „სპორტინგ კრისტალმა“.

● **ტალინი**, *31 იანვარი. აქ დამთავრდა სსრ კავშირის თასის გათამაშება ფარიკაობაში. დაშნით მოასპარეზეთა შორის ყველას აჯობა ვ. დონინმა (ყირგიზეთი). II ადგილზეა ი. ვალეტოვი (ყაზახეთი), III — ი. ვიტებსკი (უკრაინა).*

● **მელბურნი**, 31 იანვარი. ვიქტორიის შტატის (ავსტრალია) ღია ჩემპიონატში წარმატებით განაგრძობს ასპარეზობას თბილისელი ჩოგბურთელი ა. მეტრეველი: იგი გათამაშების ფინალში გავიდა.

● **გარახოვი** (ჩეხოსლოვაკია), 31 იანვარი. აქ დამთავრდა ტრადიციული „ტანვალდის ზამთრის თამაშები“, რომელმაც წარმატება მოუტანა ლენინგრადელ ორჭიდელს, 30 წლის ვ. დრიაგინს — 401,5 ქულა. II ადგილი დაიკავა ი. ზვონეკმა (ჩეხოსლოვაკია) — 394,3, ხოლო III — ახალგაზრდა პერმელმა მოთხილამურემ ვ. რუსინოვმა — 390,4.

● **ბრატისლავა**, 31 იანვარი. მსოფლიო ჩემპიონმა — სსრ კავშირის ქალთა გუნდმა (მოსკოველები ს. გრინბერგი და ზ. რუდნოვა) I ადგილი დაიკავა მაგიდის ჩოგბურთელთა აქ გამართულ ჩეხოსლოვაკიის ღია ჩემპიონატში. ფინალში გრინბერგმა და რუდნოვამ დაამარცხეს ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენლები — 3:1.

● **ჩელიაბინსკი**, *31 იანვარი. გაიმართა ფრენბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის VI-VII ტურები. მოსკოვის „დინამომ“ VI ტურში იოლად სძლია ბაქოს „ნეფტიანიკს“ — 3:0. ასეთივე ანგარიშით დამარცხდნენ კრასნოდარელი დინამოელები ოდესელ სტუდენტებთან. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ მოუგო კიევის „ბურევესტნიკს“ — 3:0. დაძაბული გამოდგა ლენინგრადის „ბურევესტნიკისა“ და ცსკა-ს შეხვედრა. გამარჯვებული მხოლოდ მეხუთე ხელმა გამოავლინა. საბოლოო წარმატება სტუდენტებმა იზეიმეს — 3:2. VII ტურში პირველი მარცხი იწვნია მოსკოვის „დინამომ“ დედაქალაქის „ლოკომოტივთან“ — 2:3. სხვა შეხვედრები ასე დამთავრდა: „ბურევესტნიკი“ (ოდესა) — „ბურევესტნიკი“ (ლენინგრადი) 3:2, „ნეფტიანიკი“ (ბაქო) — „დინამო“ (კრასნოდარი) 1:3, ცსკა — „ბურევესტნიკი“ (კიევი) 3:1. შვიდი ტურის შემდეგ 6-6 ქულით ლიდერობენ მოსკოვის დინამოელები და ოდესელი სტუდენტები. 5 ქულა აქვს მოსკოვის „ლოკომოტივს“.*

● **ბრიანსკი**, 31 იანვარი. ადგილობრივ სპორტკლუბ „დესნის“ თასზე აქ გამართულმა ტრადიციულმა ზამთრის მძლეოსნურმა შეჯიბრებამ ქვეყნის ბევრ საუკეთესო სპრინტერსა და მხტომელს მოუყარა თავი. შეჯიბრების მიწურულს ნაჩვენები შედეგებიდან აღსანიშნავია ჩელიაბინსკელი ვ. ბოპკოვასა და მოსკოველი ვ. საპეის მაჩვენებლები 50 მეტრზე რბენაში — შესაბამისად: 6,3 და 5,6 წამი.

● **ჟიტომირი**, 1 თებერვალი. ორგზის სოციალისტური შრომის გმირის ს. კოროლიოვის სახელობის პრიზზე მოტოკროსმენთა ტრადიციული შეჯიბრება, რომელიც აქ — ამ შესანიშნავი მეცნიერის სამშობლოში გაიმართა, ლვოვის ოლქის სპორტსმენებმა მოიგეს. ძალიან რთულ, ატალახებულ ტრასაზე ბრძოლისას შესაშური ნებისყოფა გამოავლინა ლვოვის სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის მუშამ ვერა ჩუჩკომ. ჭაბუკთა შორის ყველას აჯობა კიევის ავტოსაგზაო ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ვიშნიაკოვმა. მძაფრად წარიმართა ვაჟთა რბოლა 250 კბ სმ კლასის მოტოციკლებით. გაიმარჯვა სსრ კავშირის ნაკრების წევრმა ა. კიბირინმა, რომელმაც მეორე დღეს ასევე ყველას აჯობა „350-ანებში“. 175 კბ სმ კლასში პირველი იყო კიეველი ვ. პოგრებნიაკი.

გუშინწინ რუსთავის „მეტალურგის“ სტადიონზე გაიმართა ამხანაგური საწვრთნელი მატჩი ფეხბურთში. ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „მეტალურგისა“ და თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდები.

მასპინძლებმა ღირსეული წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს და ფრედ დაამთავრეს შეხვედრა — 0:0.

„დინამოს“ შემადგენლობა ასეთი იყო: ურუშაძე, რეხვიაშვილი, ეზრალიძე, ხურცილავა, ხინჩაგაშვილი, პეტრიაშვილი, კუტივაძე, მ. მაჩაიძე, მეტრეველი (გუცაევი), გავაშელი, ლ. ნოდია.

• • •

სურათებზე: მატჩის მომენტები.

მ. ზარგარიანის ფოტო.

თასის კალენდარი

მოგვყავს სსრ კავშირის თასის გათამაშების კალენდარი.

6-10 მარტი. ოცდამეთორმეტედფინალები:

„სტროიტელი“ (აშხაბადი) — „მეტალურგი“ (ზაპოროჟიე), „მოლდოვა“ (კიშინიოვი) — „შინიკი“ (იაროსლავლი), „ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო) — „ალგა“ (ფრუნზე), „კუზბასი“ (კემეროვო) — „ვოლგარი“ (ასტრახანი), „დაუგავა“ (რიგა) — „ურალმაში“ (სვერდლოვსკი), „ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „პამირი“ (დუშანბე).

16-20 მარტი. მეთექვსმეტედფინალები:

„დინამო“ (ლენინგრადი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი), „უაირათი“ (ალმა-ათა) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი), „სპარტაკი“ (მოსკოვი) — აშხაბადისა და ზაპოროჟიეს გუნდებს შორის გამარჯვებული, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — კიშინიოვისა და იაროსლავლის გუნდებს შორის გამარჯვებული, „ზენიტი“ (ლენინგრადი) — „მეტალისტი“ (ხარკოვი), „დინამო“ (კიევი)— ივანოვოსა და ფრუნზეს გუნდებს შორის გამარჯვებული, კემეროვოსა და ასტრახანის გუნდებს შორის გამარჯვებული — „დინამო“ (მოსკოვი), „ნევთჩი“ (ბაქო) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „შახტიორი“ (დონეცკი) — რიგისა და სვერდლოვსკის გუნდებს შორის გამარჯვებული, ცსკა — „ტორპედო“ (ქუთაისი), „შახტიორი“ (ყარაგანდა) — ასკ (დონის როსტოვი), „კარპატი“ (ლვოვი)—ვილნიუსისა და დუშანბეს გუნდებს შორის გამარჯვებული, „რუბინი“ (ყაზანი) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — „დინამო“ (მინსკი), „არარატი“ (ერევანი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა), „დინამო“ (თბილისი) — „კრილია სოვეტოვი“ (კუიბიშევი).

27-31 მარტი. მერვედფინალები.

1 ივლისი—მეოთხედფინალები.

მსოფლიო რეკორდები

ველოსპორტი

1971 წლის 1 თებერვლისთვის

დისტანცია	რეკორდსმენი	დრო	დამყ. წელი
	ვაჟები		
200 მ სვლით	ო. ფხაკაძე (სსრ კავშირი)	10,69	1967
500 მ სვლით	პ. ტრანტენი (საფრანგეთი)	27,85	1967
1 კმ სვლით	ლ. ბორგეტი (იტალია)	1.01,14	1967
1 კმ ადგილიდან	პ. ტრანტენი (საფრანგეთი)	1.03,91	1968
4 კმ ადგილიდან	ჯ. კურმანი (შვეიცარია)	4.40,41	1968
5 კმ ადგილიდან	მ. ფრეი (დანია)	6.01,8	1969
10 კმ ადგილიდან	მ. ფრეი (დანია)	12.23,8	1969
20 კმ ადგილიდან	მ. ფრეი (დანია)	25.00,5	1969
100 კმ ადგილიდან	ო. რიტერი (დანია)	2:19.01	1965
1-საათიანი ადგილიდან	მ. როდრიგესი (კოლუმბია)	47.553,24 მ.	1970
4 კმ გუნდ. რბოლა გამოდევნებით	გფრ-ის გუნდი	4.15,76	1968
	ქალები		
200 მ სვლით	ლ. რაზუვაევა (სსრ კავშირი	12,3	1955
500 მ სვლით	ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი)	32,5	1967
1 კმ სვლით	ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი)	1.12,9	1967
1 კმ ადგილიდან	ი. კირიჩენკო (სსრ კავშირი)	1.15,1	1967
3 კმ ადგილიდან	რ. ობოდოვსკაია (სსრ კავ.)	4.01,7	1969
5 კმ ადგილიდან	რ. ობოდოვსკაია (სსრ კავ.)	6.55,7	1967

მშვილდოსნობა

1971 წლის 1 თებერვლისთვის

დისტანცია	რეკორდები	ქულა	დამყ. წელი
	ვაჟები		
30 მ	ჰ. რაიტი (ავსტრალია)	347	1968
50 მ	ი. სანდელინი (ფინეთი)	317	1969
70 მ	ჯ. ვილიამსი (აშშ)	320	1969
90 მ	რ. როჯერსი (აშშ)	294	1969
ჯამი	ი. სანდელინი (ფინეთი)	1250	1969
გუნდური	აშშ-ს გუნდი		
	ქალები		
30 მ	ჰ. ბუეზინსკა (პოლონეთი)	336	1970
50 მ	ნ. მაირიკი (აშშ)	305	1967
60 მ	ი. შიდლოვსკა (პოლონეთი)	317	1970
70 მ	ვ. პარკჰურსტი (კანადა)	294	1969
ჯამი	ნ. მაირიკი (აშშ)	1208	1967
გუნდური	სსრ კავშირის გუნდი	3460	1969

ძიუდო წინაოლიმპიურ წელს

გამარჯვება! სამწლიანი „შესვენების" შემდეგ სსრ კავშირის ძიუდოისტთა ნაკრებმა კვლავ დაისაკუთრა ევროპის ჩემპიონობა. საბჭოთა მოჭიდავეებს ოქროს მედლების მოპოვებაში დაეხმარა გივი ონაშვილი. გადამწყვეტი ორთაბრძოლის დამთავრების შემდეგ მწვრთნელმა და თანაგუნდელებმა ქართველი ათლეტი ხელში აიტაცეს (იხ. სურათი).

...ეს ამბავი შარშან მაისში მოხდა ბერლინში, მაგრამ მისი გახსენება ახლაც საინტერესოა. საბჭოთა ოსტატები წლევანდელ სეზონს თბილისის საერთაშორისო ტურნირით ხსნიან, რომელიც 6-7 თებერვალს გაიმართება. ამ ტრადიციულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან სტუმრები იაპონიიდან, ჰოლანდიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან, პოლონეთიდან, ავსტრიიდან და იუგოსლავიიდან.

წლევანდელი ტურნირი განსაკუთრებულია. წინაოლიმპიურ წელს იაპონური ჭიდაობის მოყვარულებს ორი საპასუხისმგებლო შეჯიბრება ელით: 20-23 მაისს შვეციის ქალაქ გეტებორგში ევროპის ჩემპიონატი ჩატარდება, ხოლო 28 აგვისტოდან 2 სექტემბრამდე დასავლეთ გერმანიის ქალაქ ლიუდვიგსჰაფენში მსოფლიო პირველობა გაიმართება.

კონტინენტის პირველობაში, რომელიც ყოველწლიურად ტარდება, საბჭოთა მოჭიდავეებს დებიუტი 1962 წელს ჰქონდათ და მაშინ გუნდურ ჩათვლაში III ადგილი დაიკავეს. შემდეგ ოთხი წლის მანძილზე სსრ კავშირის ნაკრები ევროპის ჩემპიონი იყო და კვლავ დაიბრუნა უძლიერესის ტიტული 1970 წელს. მაშინ საბჭოთა გუნდის გამარჯვება ბერლინში უზრუნველყო მძიმე წონის ათლეტმა ონაშვილმა, რომელმაც ფრედ დაამთავრა შეხვედრა მსოფლიოსა და ევროპის ექს-ჩემპიონთან, ჰოლანდიელ ვ. რიუსკასთან (იხ. სურათი).

საბჭოთა ათლეტები მუდამ ფავორიტთა შორის იყვნენ ევროპის პირველობების პირად შეჯიბრებებშიც. ყველაზე დიდი წარმატება მოიპოვა მძიმე წონის წარმომადგენელმა ა. კიკნაძემ, რომელმაც ოთხჯერ დაისაკუთრა კონტინენტზე უძლიერესის სახელი. საბჭოთა მოჭიდავეები ბოლო სამი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილეები არიან (ეს შეჯიბრება ყოველ კენტ წელიწადს ტარდება) და სამივეჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. ა. ქიბროწაშვილმა რიო-დე-ჟანეიროში (1965 წელს) აბსოლუტურ პირველობაში II ადგილი დაიკავა.

საბჭოთა კავშირში ოლიმპიადისთვის მზადებისა და ვეტერანთა ცვლის აღზრდის მიზნით ყოველწლიურად ტარდება ჭაბუკთა და იუნიორთა საკავშირო ტურნირები ძიუდოში. მეხუთე ასეთი რანგის ტურნირში, რომელიც იანვარში მოსკოვში ჩატარდა, მოჭიდავეთა სარეკორდო რიცხვი — 204 კაცი მონაწილეობდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, კიევის, მინსკის, გორისა და სხვა ქალაქების სპორტსმენთა გვერდით, სადაც უკვე დიდი ხანია ეუფლებიან ძიუდოს ტექნიკას, სარბიელზე პირველად გამოჩნდნენ იაროსლავლის, კურსკის, მაიკოპის, ლიპეცკის, რიაზანის, ნიჟნი ტაგილის, კიროვის, ყარაგანდის წარმომადგენლები.

მოსკოვის ტურნირში გამარჯვებულთა შორის იყვნენ ახალგაზრდა ქართველი სპორტსმენებიც — 17 წლის კასპელი ტ. ცინცაძე (58 კგ-მდე) და 16 წლის თბილისელი ნ. ელებაშვილი (85 კგ-მდე).

— მათი გამოსვლით კმაყოფილი ვარ, — მითხრა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა ა. ლუკიჩევმა, — ახალგაზრდა სპორტსმენებმა კარგად აითვისეს ძიუდოს წესები და ტაქტიკა. რაც მთავარია, ორივეს კარგი ნებისყოფა აქვს.

მოსკოვის ასპარეზობა შესარჩევი იყო, რადგან სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრები მარტში ევროპის ჩემპიონატში უნდა გამოვიდეს.

აპრილში საბჭოთა მოჭიდავეებს იაპონიაში გამგზავრება აქვთ განზრახული. ლუკიჩევი შარშან უკვე იყო იქ. მას მიაჩნია, რომ შეხვედრა მსოფლიოს საუკეთესო ძიუდოისტებთან, რომლებიც მტკიცე დისციპლინითა და შრომისმოყვარეობით გამოირჩევიან, ძალიან სასარგებლოა საბჭოთა სპორტსმენებისთვის.

ჰ. ხაჩკოვანიანი,
სსრ კავშირის სამბოს ფედერაციის პროპაგანდის კომისიის მდივანი.

კვლავ „ელექტრული მოკარნახე"

მიუნხენის 1972 წლის საზაფხულო ოლიმპიადაში ყველაზე მოკლე სპრინტერულ დისტანციაზე — 100 მეტრზე გამარჯვებულის შედეგი 9,9 წამი იქნება. სხვა სიტყვებით, მომავალი თამაშების ჩემპიონი მეხიკოს ოლიმპიადის ჩემპიონის, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენლის, ზანგი მორბენლის ჯიმ ჰაინსის შედეგს გაიმეორებს.

ასეთი პროგნოზი გამოთქვა კომპიუტერმა — „ელექტრულმა ტვინმა", რომლის მფლობელებმაც—აუგსბურგის ერთ-ერთი დასავლეთგერმანული ფირმის წარმომადგენლებმა — გამომთვლელი მანქანა შეაიარაღეს ყველა წინა ოლიმპიადაში მძლეოსანთა მიერ ნაჩვენები შედეგებით.

ყველაზე მოულოდნელი აღმოჩნდა მანქანის აზრი სიმაღლეზე მხტომელ ქალთა შეჯიბრებაზე. თუ მას დავუჯერებთ, 1972 წლის ოლიმპიადის ჩემპიონი 198 სმ-ზე გადებულ თამასას გადაევლება! უნდა მოგაგონოთ, რომ ლაპარაკია ერთ-ერთ ყველაზე ურყევ მძლეოსნურ მიღწევაზე, რომ ამჟამინდელი მსოფლიო რეკორდი — 191 სმ — რუმინელმა სპორტსმენმა იოლანდა ბალაშმა ჯერ კიდევ 1961 წელს დაამყარა. სხვათა შორის, 1970 წლის საზაფხულო სეზონისთვის ბალაშმა თავადაც თქვა, ჩემი რეკორდი ამ ზაფხულს ვერ გადაიტანსო. მაგრამ მიღწევა არ შეცვლილა, თუმცა მასზე ბევრმა მიიტანა იერიში. მძლეოსნობის ისტორიაში მეორე შედეგი, რომელიც ერთბაშად სამმა მხტომელმა — ა. ლაზარევამ (სსრ კავშირი), რ. შმიდტმა (გდრ) და ი. გუზენბაუერმა (ავსტრია) აჩვენეს, 187 სმ იყო.

მომავალი ოლიმპიადის „ოქროს ჭოკით მხტომელს" კომპიუტერი 571 სმ-ს ჰპირდება (მეხიკოში ამერიკელი ბობ სიგრენი 540 სმ-ზე გადახტა, ახლანდელი მსოფლიო რეკორდი კი 549 სმ-ს უდრის).

აი, რა პროგნოზები გამოთქვა მანქანამ 1972 წლის ოლიმპიადის მძლეოსნური პროგრამის ზოგიერთი სხვა სახეობის შესახებ (ფრჩხილებში მოყვანილია 1968 წლის გამარჯვებულთა შედეგები):

ვაჟები. რბენა. 200 მ—19,8 (19,8), 400 მ — 45,0 (43,8), 1500 მ — 3.28,8 (3.34,9), 5000 მ — 13.48,7 (14.05,0), 10.000 მ — 28.18,9 (29,27,4), ხტომა: სიმაღლეზე — 228 სმ (224), სიგრძეზე — 820 (890).

ქალები. რბენა. 100 მ — 10,9 (11,0), 200 მ—22,1 (22,5), 400 მ — 51,9 (52,0). ხტომა: სიმაღლეზე — 198 (182), სიგრძეზე — 698 სმ (682).

საინტერესო პროგნოზებია. ვნახოთ...

დაზვერვაზე

ბაკურიანი, 1 თებერვალი (ტელეფონით). ორიოდე დღის შემდეგ აქ სტარტს აიღებს სსრ კავშირის თასის გათამაშება სათხილამურო რბოლებში. სპორტსმენებმა ამგვარი დიდი შეჯიბრების წინ შარშან ბაკურიანის თასის ტრადიციულ გათამაშებაში შეამოწმეს ძალები. და აი, გუშინ ისინი კვლავ გამოვიდნენ გენერალურ რეპეტიციაზე — ბაკურიანის თასზე მორიგ შეჯიბრებაში. სსრ კავშირისა და სპორტსაზოგადოებების ნაკრები გუნდების ბევრმა საუკეთესო მოთხილამურემ, რომლებიც იანვრის დამლევს საერთაშორისო ტურნირებში ასპარეზობდნენ, ბაკურიანის თასისთვის ბრძოლას ვერ ჩამოუსწრო, მაგრამ ტურნირი მაინც საინტერესო და დაძაბული გამოდგა.

მომავალი დიდი ბატალიების მონაწილეებმა კვირას ერთმანეთი „სპრინტერულ" დისტანციებზე — ქალებმა 5, ხოლო ვაჟებმა 10 კილომეტრზე რბოლაში დაზვერეს. გამარჯვებისთვის იბრძოდნენ „დინამოს", „სპარტაკის", „ზენიტის", „ტრუდის", „ლოკომოტივისა" და „უროჟაის" წარმომადგენლები.

განსაკუთრებით მჭიდრო იყო ქალთა ტურნირის მონაწილეთა შედეგები. სარბიელზე მრავალ ბრძოლაში გამოცდილი სპორტსმენებიც გამოვიდნენ, მაგრამ უპირატესობა ახალგაზრდების მხარეს იყო. ყველას აჯობა ნ. რომანკომ (სუმი, „დინამო") — 20.19,0, რომელმაც ვ. ხალიტოვას (ლენინგრადი, „დინამო") 27 წამი მოუგო. III ადგილზე გავიდა ი. ვასილკოვსკაია (ბელორუსია, „დინამო") — 21.01,0. მან მხოლოდ 5 წამით აჯობა გამოცდილ ლენინგრადელ ოსტატს ნ. რუმიანცევას („დინამო").

სპორტსმენთა თავგამოდებას ისიც მოწმობს, რომ ვეტერანმა ი. ვლადიმიროვამ (ტერნოპოლი, „ავანგარდი"), რომელმაც შარშან სსრ კავშირის თასის გათამაშებაში V ადგილი დაიკავა, და ა. ტიხონოვამ (მოსკოვის ოლქი, „ზენიტი") V და VI ადგილები ერთნაირი შედეგით (21.12,0) გაიყვეს.

ვაჟთა შეჯიბრებაში სხვა ტურნირებიდან თავისუფალი სსრ კავშირის ნაკრების რამდენიმე წევრიც ასპარეზობდა. აქ იყვნენ შარშანდელი ამგვარი ტურნირისა და შემდეგ სსრ კავშირის თასის გათამაშების მონაწილენიც. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა ა. კოლეგოვმა (კიროვი, „დინამო") შარშან სსრ კავშირის თასზე 15 კმ-ზე რბენაში ათეულში დაიმკვიდრა ადგილი, ახლა კი ბაკურიანის თასი მოიგო — 34.48,0. კოლეგოვმა ნ. ტერებოვს (კემეროვო, „სპარტაკი"), რომელმაც შარშან სსრ კავშირის თასზე შეჯიბრებისას 50 კილომეტრზე რბოლაში IV ადგილი დაიკავა, 13 წამი მოუგო და აიძულა II ადგილს დასჯერებოდა. III ადგილზე უკვე საკმაოდ ცნობილი ოსტატი ი. ჩერკასოვი (კამჩატკის პეტროპავლოვსკი, „სპარტაკი") გავიდა — 35.21,0. გორკის დინამოელები ვ. ავსეევი და ვ. კურილენკო ჩერკასოვს შესაბამისად 4 და 6 წამით ჩამორჩნენ. ცნობილი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ბაშკირეთიდან ბ. გიზატულინი („ტრუდი") VI ადგილზე (35.36,0) დარჩა.

საკავშირო თასის გათამაშების წინ ბაკურიანში ცოტა თოვლი კიდევ მოვიდა. ეს იძლევა იმედს, რომ მსაჯთა კოლეგიას ტრასების მოსაწყობად მანქანებითა და მარხილებით თოვლის მოზიდვა არ დასჭირდება.

შ. ფანჯაკიძე,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

უცხოეთის ფეხბურთის ამბები

ქისა თუ ჩემპიონობა?

ბრაზილიის შტატ მინას-ჟერაისის ჩემპიონობას ერთმანეთს ტრადიციულად ორი კლუბი ეცილება — „კრუზეირო" (სადაც ტოსტაო თამაშობს) და „ატლეტიკო მინეირო". მიმომხილველები უპირატესობას „კრუზეიროს" ანიჭებენ, რომელიც უკვე ექვსჯერ იყო შტატის ჩემპიონი.

ეს გუნდი უსწრებდა კიდეც მეტოქეს, ჩემპიონატის დამთავრებამდე კი 5 ტური რჩებოდა. მაგრამ სწორედ ამ დროს „კრუზეიროს" ეწვია ერთი ცნობილი იმპრესარიო, რომელმაც მას სამხრეთ ამერიკაში გასტროლები და დიდძალი თანხა შესთავაზა.

ქისა თუ ჩემპიონობა? „კრუზეიროს" ხელმძღვანელობას ბევრი აღარ უფიქრია და... ქისა არჩია. ტოსტაო, პიაცა, ფონტანა, დ. ლოპესი, ზე კარლოსი და ბრიტო (იგი „ფლამენგოდან" გადავიდა ამ კლუბში) გასტროლებზე გაემგზავრნენ, ჩემპიონატში თამაში კი დუბლიორებს დააკისრეს. ეს დუბლიორები უწყალოდ შემუსრეს „ატლეტიკო მინეიროს" ფეხბურთელებმა და ჩემპიონობაც მათ დარჩათ.

მოკლედ

● **ციურიხი.** ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა და თასების მფლობელთა თასის გათამაშებათა მეოთხედფინალების შემდეგ (10 და 24 მარტს) უეფა ციურიხში 26 მარტს გამართავს ნახევარფინალების მონაწილეთა კენჭისყრას. ნახევარფინალები შედგება 14 და 28 აპრილს.

● **რიო-დე-ჟანეირო.** მ. ზაგალო დაინიშნა რიო-დე-ჟანეიროს „ფლუმინენსეს" მთავარ მწვრთნელად პ. ამარალის ნაცვლად.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

3 თებერვალს

თბილისის ფილარმონიის საზამთრო შენობაში (პლეხანოვის პრ. № 123) ჩატარდება ქალაქის ფეხბურთის აქტივის კრება (დასაწყისი 18 ს.).

დღის წესრიგშია 1970 წლის სეზონის შედეგები და თბილისში ფეხბურთის შემდგომი განვითარების საკითხები.

[illegible] ...19^{45}

◆ **ვილნიუსი,** 1 თებერვალი. უძლიერეს ახალგაზრდა ოსტატ მოჭადრაკეთა აქ მიმდინარე პირველ საკავშირო ტურნირში ლიდერობს მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტის მასწავლებელი ი. რაზუვაევი — 3,5 ქულა 4-დან (სხვათა შორის მან სსრ კავშირის სტუდენტთა შარშანდელი ჩემპიონი, ერევნელი რ. ვაგანიანიც დაამარცხა). 3 ქულა დააგროვა ალმაათელმა მ. მუხინმა. ლვოველ ო. რომანიშინს, ნოვოკუზნეცკელ ი. ანიკაევს, თბილისელ თ. გიორგაძესა და ვაგანიანს 2,5-2,5 ქულა აქვთ. ლიდერთა ჯგუფში მოხვედრის შანსს ინარჩუნებს ბაქოელი გ. კუზმინი, რომელსაც 2 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს.

◆ **კრაპკოვიცე** (პოლონეთი), 1 თებერვალი. კიევის „სპარტაკის" ხელბურთელ ქალთა გუნდი ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ნახევარფინალში გავიდა: მან მეორე მატჩშიც დაამარცხა ადგილობრივი „ოტმიეტი", ამჯერად ანგარიშით 18:11 (9.8). კიეველთა მომავალ მეტოქეს 2 თებერვალს კენჭისყრა გამოავლენს.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა ლენინის ქ. № 14. 10 უე 02739